ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 მაისი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 96 (10 265) ● ფასი 5 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„უითბრედი“: ჭამი ფინიშისა

სამშაბათს ინგლისის ქალაქ საუთჰემპტონის ნავსაყუდელი ერთ დიდ სანაკეტო დარბაზს დაემსგავსა — შამპანურით დამშვენებული სუფრები დედამიწის გარშემო აფრიანი ნავებით რბოლის მონაწილეებს ელოდა. საგანგებო თანამგზავრის მეშვეობით ცნობილი იყო, რომ ლიდერები, ახალზელანდიური ნავები „სტეინლაგერი“ და „ფიშერი და პაიკელი“ თითქმის გვერდი-გვერდ მიცურავდნენ.

და აი, ფინიშიც: რბოლა პირველმა დაასრულა თეთრი და წითელი ფერებით შეღებილმა ორანძიანმა „სტეინლაგერმა“, რომელმაც 33 000 საზღვაო მილის გაცურვას 128 დღე,9 საათი, 40 წუთი და 30 წამი მოანდომა. ამ ნავის ეკიპაჟმა, რომელსაც პიტერ ბლეიკი ხელმძღვანელობდა, რბოლის ექვსივე ეტაპი მოიგო! „ფიშერი და პაიკელის“ ეკიპაჟი გამარჯვებულებს 36 წუთითა და 23 წამით ჩამორჩა. ფინიშის ხაზი მესამემ გადაკვეთა შვეიცარიელთა „მერიტმა“.

ამ ცნობის მიღების დროისათვის საბჭოთა ნავის „ფაზისის“ ეკიპაჟს რბოლა ჯერ არ დაესრულებინა. წინასწარი მონაცემების გათვალისწინებით ნათელია, რომ საერთო ჩათვლაში „ფაზისი“ ათეულში მოხვდება.

რეზერვის საიმედოა

ევროპის ჩემპიონატზე ჩვენ ძიუდოისტების გამოსვლას შემდეგ ალბათ უფრო მეტი ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი მატჩებს, რადგან სპორტში ვითარება სწრაფად იცვლება. და მაინც, ვფიქრობთ, დიდი შეშფოთების მიზეზი არ უნდა გვქონდეს. ამის საფუძველია საქართველოს ფალავანთა სიძლიერე და ჩვენი უახლოესი რეზერვის სწრაფად მზარდი ოსტატობა.

რამდენიმე დღის წინ კიევში მეორედ ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებს (1970 წელს ან უფრო გვიან დაბადებულთა) შორის და მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეთა რიგებში არ იყვნენ წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონები (იუნიორებში) თ. სააკაშვილი, ვ. დგებუაძე და ჯ. დაბრუნდაშვილი, ქართველმა მოჭიდავეებმა სამყოფი ჯილდოები წამოიღეს შინ.

ტურნირში საბჭოთა კავშირის ნაკრების გარდა მონაწილეობდნენ უცხოეთის 9 ქვეყნის ნაკრებები. სრული შემადგენლობა გამოიყვანეს იაპონელებმა და ფრანგებმა, ცალკე გუნდად ასპარეზობდნენ უკრაინელი ძიუდოისტები.

78 კგ წონაში ფინალამდე დაუმარცხებლად მივიდნენ ქარელელი ბესიკ ქოქოევი და თბილისელი ირაკლი უზნაძე. გადამწყვეტ შერკინებაში ქოქოევმა (მწვრთნელი შოთა ხაბარელი) დაამარცხა 2 წლით უმცროსი თანაგუნდელი და ტურნირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. უზნაძეს ვერცხლის მედალი გადაეცა რაც, ცხადია, დიდი წარმატებაა 18 წლის ჭაბუკისთვის.

კიდევ უფრო საკვირველი და სასიამოვნო იყო გლდანელი თამაზ ცოფურაშვილის ჯამოსვლა. საქმე ისაა, რომ იგი 2-3 წლით უფროს მეტოქეებს ერკინებოდა. მიუხედავად ამისა, მან ყველას თვალნათლივ დაუმტკიცა თავისი უპირატესობა და პირველი ადგილი დაიკავა. 17 წლის თ. ცოფურაშვილს ვახტანგ კბილაშვილი ავარჯიშებს.

ახმეტელმა ვასილ ომარაშვილმა (86 კგ) მე-2 ადგილი დაიკავა, მაგრამ ალბათ მეტი შეეძლო: მან ყველა მეტოქის იოლად სძლია და შესაძლოა ამის გამოც ფინალს გულარხეინად მიუდგა, რისთვისაც დაისაჯა კიდეც — დამარცხდა უკრაინელ მაშურენკოსთან.

მეორე ადგილზე გავიდა ლენტეხელი გერასიმე ხაბულიანიც (60 კგ). რომელმაც ასევე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მესამე ადგილები დაიკავეს ლაგოდეხელმა მამუკა მახათაძემ (60 კგ) და ქარელელმა ჯონდო დაბრუნდაშვილმა (მძიმე წონა).

სხვათა შორის, ტურნირზე გაიმარჯვა მაკარ ტეფნაძემ, რომელიც ჩვენებურია და აქ ისწავლა ჭიდაობა, მაგრამ ახლა უკრაინაში სწავლობს. ისიც აღსანიშნავია, რომ ტურნირში ჩვენი სამი მძიმე წონის მოჭიდავე ასპარეზობდა (დაბრუნდაშვილი, ბექაური, უძილაური) და მათ ალბათ უკეთესად შეეძლოთ გამოსვლა, თუმცა ერთ ბრინჯაოს მედალს დასჯერდნენ.

სანთელ-საკმევლის იმედით...

ფეხბურთის გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან 27 მაისს, როდესაც საქართველოს ეროვნული ნაკრები გამართავს თავის პირველ საერთაშორისო მატჩს ლიტვის ეროვნულ ნაკრებთან. დღეს ჩვენი გუნდი თავის პირველ შეკრებაზეა. (ყოველივე „პირველი“ ქართული ფეხბურთის ისტორიის საკუთრება ხდება). გავითვალისწინეთ რა მკითხველის ინტერესი, ინტერვიუ ვთხოვეთ ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელებს — რამაზ შენგელიას (გუნდის უფროსი) და გივი ნოდიას (მთავარი მწვრთნელი):

● რამაზ, რადგან საკავშირო ფედერაციას „გავეყარეთ“, ხომ არ აჯობებდა სტანდარტული, „ხავსმოდებული“ ტერმინი „გუნდის უფროსი“ შეგვეცვალა „მენეჯერით“?

— მართალი ბრძანდებით. პრინციპში, „გუნდის უფროსი“, ვფიქრობ, ეს მართლაც ყურით მოთრეული ტერმინია, მენეჯერი კი, რომელსაც წინ არც „უფროსი“ უზის მსაზღვრელად და არც „უმცროსი“, ყოველთვის პატოსნად, უპრეტენზიოდ ასრულებდა თავის მოვალეობას.

● როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი, როგორც „მენეჯერის“, საქმიანობა?

— ეს აღორძინებული ეროვნული ნაკრების პირველი მატჩია და ამდენად, ყველა მაქსიმალურად გამოვიყენებთ საკუთარ ძალებს, რათა მატჩი ნამდვილ ზეიმს დაემსგავსოს და მაყურებელმა კმაყოფილმა დატოვოს სტადიონი, მოკლედ, ამ მატჩისათვის მზადებისას არავინ აკალკეკებს მოვალეობებს — მე მენეჯერი ვარ და ეგ არ მეხება, ან მე მწვრთნელი ვარ და მაგ საქმეში არ ჩაევერევი. შემდგომში კი ჩემი საქმიანობა ასე წარმომიდგენია: რა თქმა უნდა, მოვალე ვარ, ჩავერიო სელექციაში, აღრიცხვაზე ავიყვანოთ ყველა პერსპექტიული ფეხბურთელი, რათა არც ერთი მათგანი არ დაიკარგოს. კარგი ფეხბურთელი ბევრი შეიძლება იყოს, რაშიც ეროვნული ჩემპიონატის განვლილმა მატჩებმაც დაგვარწმუნა. ვეცდები თავი მოვუყარო პატრიოტ, ფანატიკოს ბიჭებს, ვისთვისაც ეროვნულ ნაკრებში თამაში საამაყო იქნება.

● ნაკრებს, ალბათ, თავისი ბაზაც უნდა ჰქონდეს?...

— ჯერჯერობით არავითარი ბინა არა გვაქვს, ეს მომავლის საქმეა. დიდი ბჭობის შემდეგ გადაწყდა, რომ ნაკრებს რუსთავში „ფოლადის“ სტადიონზე გაეკლო საწვრთნელი შეკრება. ვფიქრობ, აქ ყველანაირი პირობები გვექნება, რათა ნაყოფიერად მოვემზადოთ მატჩისათვის.

● გულშემატკივრებმა შეიტყვეს დავით ყიფიანის ავადმყოფობის ამბავი. მხოლოდ თქვენ მოამზადებთ ნაკრებს?

— დათო, მართლაც, მეტად საპასუხისმგებლო მომენტში გაგვიხდა შეუძლოდ, სამაგიეროდ, ოთარ გაბელია დაგვეხმარება, რომელსაც, იცით, 27 მაისს საზეიმოდ ვაცილებთ დიდი ფეხბურთიდან. ეს დღე გაბელიას ბენეფისი იქნება. აქვე მინდა დავძინო, რომ ფეხბურთის ფედერაციას გადაწყვეტილი აქვს ნაკრებს საკუთარი, კლუბში მუშაობისაგან გათავისუფლებული მწვრთნელი ჩაუდგეს სათავეში. ასევე იქნება ახალგაზრდულ ნაკრებშიც.

● ცხადია, გაეცანით გაზეთ „მამულში“ დაბეჭდილ რუხთაველის საზოგადოების მიმართვას, სადაც მოითხოვენ გაიმართოს დიდი მანიფესტაცია — ფიფა-ში ან უეფა-ში გაერთიანების მოთხოვნით. შემდეგ ვიდეოფირი გაიგზავნოს იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე და ამ გზით ვაიძულოთ საერთაშორისო ფედერაციები აღიარონ ჩვენი უფლებები. რას ფიქრობთ ამ ფაქტის შესახებ?

— არა მგონია, ჩემზე უკეთ ვინმემ იცოდეს, თუ როგორი კონსერვატული ორგანიზაციებია ფიფა და უეფა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც იმედიანად ვუყურებ მომავალს. იმიტომ, რომ ჯერ პოლიტიკური სიტუაცია მომწიფდა ისე, ძალიან მალე შეიძლება თავისუფლები გავხდეთ. მეორე — არის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ უკრაინაც ცალკე დაიწყებს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას. თუ ყველა რესპუბლიკა ცალკე გავა, ფიფა-ს და უეფა-ს ძალაუნებურად მოუწევს თავიანთი წესდების გადასინჯვა. აქვე მინდა ფეხბურთის მოყვარულებს „ცენტრის“ მიერ მოწყობილ ერთ სპექტაკლზე გავამახვილებინო ყურადღება, ყველამ ნახა, ალბათ, სატელევიზიო გადაცემა „საფეხბურთო მიმოხილვა,“ სადაც კოლოსკოვმა ჩვენი მიმართვა წაიკითხა, მან ბო-

იხ. მე-3 გვ.



ამ სურათებზე აღბეჭდილია საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი ვარჯიში რუხთავის „ფოლადის“ სტადიონზე. ა. კოტორაშვილის ფოტო.

დაჯილდოება

რესპუბლიკაში კალათბურთის განვითარების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის საქართველოს სპორტსახკომმა საპატიო სიგელით და დიდი სამახსოვრო ოქროს მედლით დააჯილდოვა სსრკავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ლევან ვახტანგის ძე მოსეშვილი.**

სტუმართა — ჩინელ სპორტსმენთა მონაწილეობამ დაამშვენა ტრადიციული შეჯიბრება სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის პრიზზე, რომელიც ეშერის სტადიონზე გაიმართა. ჭოკით ხტომაში სწორედ ერთ-ერთმა ჩინელმა მძლეოსანმა ლიან შუეჟენმა გაიმარჯვა.

პროგრამის ძირითად სახეობაში, სამხტომში კი უძლიერესი გახლდათ ლენინგრადელი ვიაჩესლავ ბორდიუკოვი, სიგრძეზე ხტომაში — ტატიანა ტერ-მესროპიანი, აგრეთვე ვლადიმერ რატუშკოვი. 19 წლის თბილისელი დიმიტრი ანტონოვი მესამე ადგილზე გავიდა.

თენგიზ პაპკორია.

ხოხუმი. ჩვენი ხაკ. კორ.



სურათზე: ვიქტორ სანეევი ჯილდოს გადასცემს ლიან შუეჟენს.

ინვალიდს ბინა გამოუყვეს

„ლელოს“ მკითხველებმა კარგად იციან იმ უბედურების შესახებ, რაც ახალგაზრდა ფალავანს გ. რთველიაშვილს სპორტული ასპარეზობისას თავს დაატყდა. გ. რთველიაშვილი მძიმე ტრავმის შემდეგ დღემდე ლოგინსაა მიჯაჭვული მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში. მკურნალობისათვის მას ესაჭიროება თბილისში გადმოყვანა და მედიკოსების სისტემატური მეთვალყურეობა. სხვადასხვა ინსტანციებში დაისვა საკითხი თბილისში გ. რთველიაშვილისთვის ბინის გამოყოფის თაობაზე. საქართველოს სპორტსახკომმა თავად იკისრა ამ საკითხის მოგვარება და საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიმართა თხოვნით, რომ სპორტსახკომის „კუთვნილი ფონდიდან ვადაზე ადრე გამოეყო ბინა, რითაც დაკმაყოფილებდა რთველიაშვილის თხოვნას.

სპორტსახკომმა მიიღო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განკარგულება, სადაც ვკითხულობთ: „დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის 1990 წლის 5 აპრილის №01-45/934 თხოვნა და ზამდგომი ორგანოების დადგენილების თანახმად, მისაღები ფონდის ანგარიშში, გამოეყოს 31,3 კვ.მ. ფართობის ოროთახიანი ბინა დიდი დიღმის I მიკრორაიონის № 19 კორპუსის მე-4 სადარბაზოს მე-2 სართულზე. განკარგულებას ხელს აწერს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ანდრიაძე.

საქართველოს სპორტსახკომმა თხოვნით მიმართა ვაკის რაიაღმასკომს აღნიშნული ბინა გაუფორმოს გ. რთველიაშვილს.

ვიმედოვნებთ, რომ გულმოწყალება ბოლომდე იზიმებს და თბილისის ვაკის რაიაღმასკომში ინვალიდი სპორტსმენისათვის ბინის გაფორმება არ დაყოვნდება.

როგორც იქნა...

საკმაოდ პარადოქსულად გამოიყურებოდა, რომ საქართველოს მძლეოსანთა მიერ საკავშირო ასპარეზობებზე ქულათა მონაგრის „ლომის წილი“ მტყორცნელებზე მოდიოდა. ლიტონი სიტყვები რომ არ გამოგვივიდეს, მძლეოსნობის რესპუბლიკური გაერთიანებიდან მიღებულ ცნობას მოგაწვდით: შარშანდელ საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში „სპორტის დედოფლის“ ჩვენმა თაყვანისმცემლებმა სულ 8 სახეობაში მიიღეს ჩათვლა — 100 და 200 მეტრზე ქალთა სპრინტერულ რბენაში, აგრეთვე სიმაღლესა და ჭოკით ხტომაში. დანარჩენი ქულები კი ბირთვისმკერდელმა კ. ლომინაძემ და ეროსმტყორცნელებმა — იოსებ შავერდაშვილმა (III საპრიზო ადგილი) და ზ. ტალიკიშვილმა მოიპოვეს.

უფრო ადრე კი, კერძოდ, 1984 წელს ტაშკენტში გამართულ სასკოლო საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენმა მოსწავლე-მძლეოსნებმა 306 ქულა მოიპოვეს, აქედან 196 — მტყორცნელებისაა.

საქმეში ჩაუხედავი კაცი იფიქრებს, რომ მტყორცნელებს ჩვენში რაღაც განსაკუთრებული პირობები აქვთ შექმნილი, თორემ ასეთი შედეგები ციდან ხომ არ ცვივა. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. პირიქით, ყველაზე ცუდი კი არა, მათ საერთოდ არავითარი პირობები არ ჰქონდათ და ყოველთვის მიუსაფარნი (ჩვეულებრივ სტადიონზე ეროს მტყორცნელებს სავარჯიშოდ, ალბათ სახიფათოაო, არავინ უშვებს), ხან მტკვრის ბარეხენა სანაპიროზე, ვახუშტის ხიდის მახლობლად მდებარე ტრიალ მინდორს მიაშურებდნენ, სადაც გასახდელის ფუნქციას მწყობიდან გამოსული საბარგო მატარებლის ვაგონი ასრულებდა, ხან კიდევ ვინ იცის, რომელი ტრიალი მინდორი „შეიკედლებდა“ მათ დროებით, და ეს ხდებოდა მაშინ, როცა თბილისის საქალაქო საბჭოს არაერთი დადგენილება გამოჰქონდა მტყორცნელთათვის სტაციონარული სარბიელის გამოყოფის შესახებ, მაგრამ მას ასრულება არ ეწერა. როგორც ხედავთ, მტყორცნელები საკმაოდ დიდმა სირთულეებმა ვერ გატეხა და მათ მრავალგზის ღირსეულად დაიცვეს რესპუბლიკის სპორტული ღირსება. ყველაფერმა ამან კი ენთუზიასტი მწვრთნელების ზურგზე გადაიარა, რომლებიც დარსა და ავდარში, ხვარტსა და ქარბუქში არ ერიდებოდნენ ტრიალ მინდორზე გასვლას და ასეთი ვაინახრობით ასპარეზობებიდან ჩასათვლელი ქულები და მედლები ჩამოჰქონდათ...



საქართველოს უძლიერესი მტყორცნელები ნინო ონაშვილი და იოსებ შავერდაშვილი. ა. კოტორაშვილის ფოტო.

საქმეს თავი ისევ ენთუზიაზმისა და მძლეოსნობისადმი უდიდესი სიყვარულის წყალობით დაედგა, როცა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ომარ ოდიშვილმა ქალაქგარეთ „მორიგი ტრამალი“ აღმოაჩინა. ეს გახლდათ ტერიტორია აეროპორტისაკენ მიმავალი გზის მარჯვნივ, სადაც აქაური დასახლების ბიჭები „ველური ფეხბურთს“ თამაშობდნენ. ო. ოდიშვილი ყოფილი სპარტაკელია და ამავე სპორტსაზოგადოებას „ეკუთვნოდა“ აეროფლოტიც. ასე რომ, სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელობასთან მას საერთო ენის გამონახვა არ გასჭირვებია. მფრინაველებმა გულმოწყალედ გადმოხედეს „მიუსაფართ“. ტერიტორია საერთო ძალებით ნაწილობრივ კეთილმოეწყო, დაიდგა ტრენაჟორები (რომლებიც, სხვათა შორის, აეროფლოტსაც არანაკლებ სჭირდება პილოტთა საფრენოსნო მომზადებისათვის) და საქმე აეწყო. დღეს ჩვენს სპორტსმენებს აქვთ მუდმივი ბაზა. ამან კი უკვე თავისი სასიკეთო კვალი დაატყო მძლეოსნობას. უკვე გვყავს მტყორცნელთა ძლიერი ჯგუფი, პირველ ყოვლისა ბადროსმტყორცნელი ნინო ონაშვილი და ეროსმტყორცნელი იოსებ შავერდაშვილი უნდა ვახსენოთ. ნინო უკვე სპორტის ოსტატობის ნორმატივს მიუახლოვდა მჭიდროდ. სოსო კი, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, წელს საერთაშორისო კლასის ნორმატივს უნდა მისწვდეს. წლევანდელი სეზონის აღმოჩენა კი, მაინც, ვფიქრობთ, 17 წლის ლერი ჩიტიაშვილია. ეს ახალგაზრდა ეროსმტყორცნელი ასეთ ახალ „შედეგებს“ აღწევს, მას აღარაფერი უკლია ოსტატობამდე. მოკლედ საქმე თითქოს აეწყო. მაგრამ, საბოლოო წერტილის დასმამდე ჯერ შორსაა. საქმე ისაა, რომ ო. ოდიშვილმა თავის აღსაზრდელთა რიგებში ქალაქის მიმდებარე სოფლების ახალგაზრდობას უხმო. ისინი ლილოს, მარტყოფის, ორხევისა და სხვა სოფლების მკვიდრნი არიან. ჰოდა, უფრო მოხერხებული და, რაც მთავარია, უფრო ეფექტური რომ იყოს მათი წვრთნა, საჭიროა, რომ იქვე, სარბიელის მახლობლად, ჩაიდგას შენობა, რომელიც სასტუმროს მაგიერობას გაუწევს შეკრებებზე მყოფ სპორტსმენებს. ვფიქრობთ, ეს არ უნდა იყოს დიდ სიძნელეებთან და ხარჯებთან დაკავშირებული. სარგებლობა კი დიდი იქნება, რაც ხელს შეუწყობს ჩვენში მძლეოსნობის ამ ურთულესი სახეობების განვითარებას.

უშანგ ჭიჭინაძე.

ამოდან რეპ

ვეხუტევ ... ქალაქ ... გოდონსკში მისი მკვიდრის, ულესოვის თასის გათამაშება კრივში. ასპარეზობაში 16 გუნდი გამოდიოდა, მათ შორის პოლონეთის, უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიის.

საქართველოს ნაკრებში (უფროსი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დავით შიუკაშვილი, მწვრთნელი — სპორტის ოსტატი დავით გელაშვილი) 1974-1975 წლებში დაბადებული ათი მოკრივე იყო. მათგან რვამ სხვადასხვა სახის მედალი მოიპოვა.

განსაკუთრებით ისახელეს თავი ვოლგოდონსკის სპორტის სასახლის რინგზე თბილისელებმა მალბაზ რაშოევმა (54 კგ), გურჯაანელმა ვანო ბაქრაძემ (44 კგ), გორელებმა დავით ავაზნელმა (66 კგ), დავით ჯანაშვილმა (79 კგ) და გიორგი კანდელაკმა (85 კგ), რომლებმაც თავიანთ წონით კატეგორიებში პირველობა მოიპოვეს. მეორე ადგილებზე გავიდნენ გურჯაანელი ვაჟა კვეზერელი (63 კგ) და ქუთაისელი გიორგი გოლუთიანი (60 კგ), ხოლო თბილისელი კოტე მაღრაძე მესამე იყო.

აღსანიშნავია ახალგაზრდა გორელ მოკრივეთა კარგი გამოსვლა, რაც გამოცდილი მწვრთნელების გიორგი კარელიძისა და ავთანდილ შოშიაშვილის დამსახურებაა.

ამჟამად რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრები მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისათვის ემზადება.

ჯო ლუისის... მემკვიდრენი

კრივის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ სახელგანთქმული ამერიკელი „უავისფერი ხელთათმანი“, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი, პროფესიონალ მძიმეწონოსანთა შორის ჯო ლუისი 13 მაისსაა დაბადებული. სწორედ ეს დღეა გამოცხადებული კრივის საერთაშორისო დღედ.

მოკრივეთა ეს დღესასწაული, საქართველოში ოლიმპიური დღის ჩატარებას დაემთხვა.

ვერის ბაღში მდებარე „შევარდენისა“ ოლიმპიური რეზერვის კრივის რესპუბლიკური სპორტსკოლის დარბაზში თავი მოიყარა „შევარდენისა“ და „მართვეს“ 60 მოკრივემ.

„ღია რინგი“ — ასე უწოდეს ორგანიზატორებმა ამ საინტერესო შეჯიბრებას, რომელიც, იმედია, ტრადიციული გახდება და გარკვეულ წვლილს შეიტანს რესპუბლიკაში კრივის განვითარების საქმეში.

ამ დღეს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ახალგაზრდა მოკრივეებმა: მევლუდ ჩაველიძემ, ალან ცხოვრებოვმა, სალიმ ახრამანოვმა, ერიკ თეიმურაზოვმა, რევაზ გოგოლაშვილმა, ილია ჩანადირმა და სხვა. ყოველ მათგანს სიგელები გადაეცათ საუკეთესო ტექნიკისა და გამარჯვების მისწრაფებისათვის. საგანგებო ჯილდო მიიღო აგრეთვე 15 წლის თემურ კალანდაძემ, რომელიც ტურნირის საუკეთესო მსაჯად აღიარეს.

დავით ქავთარაძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ოლიმპიური რეზერვის კრივის სპორტსკოლის დირექტორი.

დინამოელთა პირველობაზე

გუნდურ პირველობაში მეორე. პირადში — ორ-ორი მეორე და მესამე საპრიზო ადგილი — ასეთია საქართველოს წარმომადგენელთა შედეგი სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ესტონეთის ღია პირველობაში. შეჯიბრების პროგრამაში იყო ხელჩართული ბრძოლები. აი, პრიზიორებიც: დ. ხუციშვილი და გ. დავითაშვილი (ორივე — მეორე ადგილი): მესამე ს. სამარჯიევი და ზ. ლოგუა, იყვნენ. ყველა სპორტსმენი თბილისელია.

* * *

კლასიკურ ჭიდაობაში „დინამოს“ საკავშირო პირველობაში ჩემპიონობა მოიპოვეს გ. გოგუაშვილმა (90 კგ, ქუთაისი) და გ. ბაძელაძემ (100 კგ). მეორე ადგილზე გავიდა ჯ. ბაკურაძე (82 კგ; ორივე თბილისი).

* * *

თბილისელმა ს. სიამაშვილმა პირველი ადგილი დაიკავა ლვოვში გამართულ ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირში, რომელიც 13-14 წლის ჭაბუკებისთვის გაიმართა.

მზია სუხიაშვილი.

ხუთი და არც ერთი...

ჭიდაობის მოყვარულებმა იციან, რომ სულ ახლახან ზედიზედ ჩატარდა ევროპის ჩემპიონატები ძიუდოში, კლასიკურსა და თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოისტთა შეჯიბრების ამბავი უფრო ცნობილია: იქ ხუთმა ქართველმა ფალავანმა ასპარეზი (თუმცა მათ ამჯერად ჩვეულ წარმატებას ვერ მიაღწიეს), ხოლო კლასიკურსა და თავისუფალ ჭიდაობაში არც ერთი ჩვენი მოჭიდავე არ გამოსულა.

ეს საკითხი ჩვენს გულშემატკივრებს აინტერესებთ, გვეკითხებიან კიდეც, ამიტომ გთავაზობთ ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანებიდან მიღებულ ცნობას.

საბჭოთა კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის ივან იარიგინის თქმით, კონტინენტის ჩემპიონობაზე არ წაუყვანიათ ისინი, რომლებიც გუნდში უძლიერესებად ითვლებიან. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ დავით გობეჯიშვილი. თავიანთ წონაში საუკეთესო მოჭიდავის სახელზე პრეტენზიას აცხადებენ ლერი ხაბელოვი და გოჩა მაკოევი. მსოფლიო ჩემპიონატზე საასპარეზოდ, ნაკრები გუნდი ძირითადად დაკომპლექტდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის შემდეგ, რომელიც ივნისის შუა რიცხვებში ულან-უდეში ჩატარდება.

რაც შეეხება კლასიკურ ჭიდაობას, აქ საქმე ცოტა სხვაგვარად ყოფილა. არც ერთი ჩვენი სპორტსმენი არ უცვნიათ კონტინენტის პირველობაზე ასპარეზობის ღირსად, შესაძლოა ეს კანონზომიერიც არის. მაგრამ ჩვენს კლასიკური სტილის მოჭიდავეებს კიდევ აქვთ შანსი თავი გამოიჩინონ საკავშირო ჩემპიონატში (კაშინიოვი, 4-8 ივლისი) და იქნებ ერთი ან ორი მათგანი მსოფლიო ჩემპიონატზეც მოხვდეს.

ქართული პრესა წერდა...

გლდანელის წერილი

„ბ. რედაქტორო!

თქვენი გაზეთის მე-20 №-ში იყო დაბეჭდილი წერილი მიხეილ ათამალაშვილისა.

მე მაშინ პასუხი არ გავეცი და არც ეხლა გავსცემდი, რომ დარწმუნებით არ შემეტყო, რომ ის წერილი ისე ეკუთვნის იმას, როგორც მე და რომელშიაც ცილის წამებაა ჩემზედ, რომელიც მე ჯერ არაფერით დამიმსახურებია. მეც იმ აზრისა ვარ, რომ ძლიერ დიდი უსამართლობაა ფული გადაახდევინო და ნამეტნავად მუშა ხალხს იმის ყურებისთვის, რაც ჩვენში ყოველთვის მუქთა ყოფილა. მე ჩემს დღეში ჭიდაობას ფულის მოსაგებ ხელობად არ გავიხდი და გაშლილ მინდორზედ იმდენჯერ მიჭიდავნია, რომ ათამალაშვილი ვერც კი დასთვლის; მაგრამ მიჭიდავნია იმისთანა ალაგებშიაც, სადაც მაყურებელთ ფულს ახდევინებენ. იმისთანა ალაგებში სულ თოთხმეტჯერ მიჭიდავნია და ათჯერ საწყლების სასარგებლოდ და იქიდან ერთი კაპიკიც არ მიმიღია. თუ ამისთანა ჭიდაობას ათამალაშვილი „გალერეიაში ხტუნვას“ ეძახის დეე ეგრე იყოს მაშ! მე კიდევაც მზადა ვარ იმ გალერეიაში ვიჭიდაო, ოღონდ ჩემი შრომაით და უნარით საწყლების და გაჭირვებულებს რამე ერგოთ.

ივანე ყირიმელი (გლდანელი)“.

შენიშვნა: ჩვენ გვაქვს ნამდვილი ცნობები, რომ გლდანელის ჭიდაობით საქველმოქმედო მიზნისთვის ხუთას თუმანზედ მეტი შეგროვილა ჯერ.

რედ.

„დროება“, 1883 წ. 1 ივნისი (№102)

ბევრისთვის მოულოდნელი იყო

რესპუბლიკური უნივერსიადის მოკრივეთა ტურნირის ფინალი ორი კოლექტივის — ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ტექნიკური უნივერსიტეტის სამატჩო შეხვედრა უფრო იყო, რადგან ამ სასწავლებლებს ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავდათ დასკვნით ბრძოლებში. ფინალში პირველთა ასეთი სიმრავლე — 7 სპორტსმენი — არავის გაჰკვირვებია, რადგან ისინი მსგავსი ასპარეზობების მრავალგზის გამარჯვებულები არიან. აი, „ტექნიკოსთა“ ასეთი წინსვლა კი, რომელთაც ამდენივე ფინალისტი ჰყავდათ, ალბათ ბევრისთვის მოულოდნელი იყო. თუმცა, თუ გადავხედავთ ამ სასწავლებლის სტუდენტთა ბოლოდროინდელ წარმატებებს, არც ეს უნდა ყოფილიყო მოულოდნელი. სულ ახლახან საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის სერგეი ხორიაკოვის საკმაოდ პრესტიჟულ საკავშირო მემორიალურ ასპარეზობაში ზემძიმე წონის სპორტსმენი ჯაბა ცუხიშვილი და პირველი საშუალო წონის მოკრივე ნიკოლოზ სუხაშვილი შესაბამისად პირველ და მესამე ადგილებზე გავიდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სპორტის ეს სახეობა ამ უმაღლეს სასწავლებელში საკმაოდ პოპულარულია.

რაც შეეხება ფინალური შეხვედრების წმინდა სპორტულ მხარეს, პირველ ყოვლისა, თვალში საცემი იყო ის, რომ მოკრივეებმა საკმაოდ მრავალფეროვანი ილეთები გვიჩვენეს.

უმჩატესი წონის სპორტსმენმა ზაალ მეგრელიშვილმა (თსუ, 51 კგ) ფინალამდე იოლად მიაღწია, ბოლო შეხვედრაშიც საკმაოდ აქტიურად დაიწყო ბრძოლა ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელ ჟ. აბრამიანთან, მაგრამ უკანასკნელ რაუნდში აშკარად არ ეყო გამძლეობა, რაც სისტემატური ვარჯიშით მოდის, და უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე. ჩემპიონობას მისი მეტოქე დაეუფლა. მჩატე წონაში გამოცდილმა მ. აბსარიძემ (ფიზკულტურის ინსტიტუტი), რომელსაც საკავშირო რინგზე არაერთგზის უსახელებია თავი, ადვილად დაამარცხა ზ. გაბაძე (სტუ), ქვემსუბუქ წონაში კი ს. ჯაფარიძეს (სტუ) ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენელ გ. ოსიპოვის გამოუცხადებლობის გამო უბრძოლველად მიეკუთვნა გამარჯვება. ქუთაისელმა დ. შერვაშიძემ (60 კგ, პედინსტიტუტი) აიძულა თ. ბოლო მოეღო ფინალურ ბრძოლაში. ეს ბრძოლა ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრებისა და ტექნიკური უნივერსიტეტის ნაკრებს ორ-ორ ადგილზე ანაწილებდა. ბოლოს ორივე ინსტიტუტის ნაკრებს ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე

სანთელ-საკმევლის იმედით...

(დასასრული)

ლო აბზაცი საერთოდ ამოიღო, სადაც ჩვენ მეგობრობას, ამხანაგურ დონეზე ურთიერთობას ვთავაზობთ. მან წაიკითხა ის, რაც „ცენტრს“ ხელს აძლევს. თუმცა საკავშირო ფედერაციის პრეზიდენტს ვერ გაამტყუნებ — რა ქნას, ასეთ პოლიტიკურ სიტუაციაში უწევს ცხოვრება და შუშაობა.

● ბატონო გივი, მანამდე, ვიდრე საერთაშორისო ფედერაციები გვალიარებენ, ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს უნდა მივხედოთ. როგორც ნაკრები გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ალბათ, ბევრი მატჩი ნახეთ. როგორია თქვენი აზრი ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების შესახებ?

— უნდა ითქვას, რომ იკვეთება იმ გუნდების პოზიცია, რომლებიც უმაღლეს და პირველ ლიგებში თამაშობდნენ. თუ არ ჩავთვლით ცხინვალის „ლოკომოტივს“, რომელიც ჩემი აზრით არც თუ ურიგო შთაბეჭდილებას ტოვებს და ჯერჯერობით დაჩაგრულად გამოიყურება, ჩემპიონატში მონაწილე გუნდებზე კარგი აზრისა ვარ. რა თქმა უნდა, ცხრილის ზედა ნაწილსა და ქვედა ნახევარში მყოფ გუნდებს შორის ოსტატობის დონით განსხვავება აშკარაა. თუმცა ზუგდიდის გუნდი თავისი ტექნიკური თამაშით უკეთეს ადგილს იმსახურებს. ეროვნული ჩემპიონატის დამსახურებად მიმაჩნია ისიც, რომ სტადიონზე მოსულ მაყურებელს აქვს რწმენა იმისა, რომ თამაში „ჩაწყობილი“ არ იქნება. ორი სიტყვა მინდა ვთქვა ჩემს გუნდზეც: ჩვენმა ბიჭებმა, რომლებიც სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, დაწუნებულნი იყვნენ სხვადასხვა გუნდების მიერ, ირწმუნეს თავისი ძალები და აგერ უკვე მეცხრეტურია არ დამარცხებულან. ეროვნულმა ჩემპიონატმა ბევრ ასეთ ფეხბურთელს დაუბრუნა მომავლის იმედი.

● თქვენ ბევრ გუნდთან გიმუშავიათ. ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა, რა თქმა უნდა, უფრო მეტს გავალებთ. როგორია თქვენი განწყობილება?

— ჩემი სურვილი ყოველთვის იყო, რომ ერთ გუნდში ვყოფილიყავი და ძალიან დიდხანს მემუშავა. რუსთაველი გულშემატკივრები ჯერჯერობით კმაყოფილები არიან და სანამ არ გამაგდებენ, აქ დავრჩები. ეროვნული ნაკრების მწვრთნელობას კი პასუხისმგებლობაზე მეტი სიამაყე მოაქვს. ნაკრების რაინდები ყოველნაირად მზად უნდა იყვნენ გამარჯვებისათვის. ეს გამარჯვება კი (მე, როგორც გამოუსწორებელ ოპტიმისტს, მწამს მისი) უფრო მეტ სიამაყოს მომცემს, როგორც მწვრთნელს.

● ნაკრების კანდიდატებს ხომ ვერ გაგვაცნობთ?

— დიდი სიამოვნებით. ექვსი ფეხბურთელი იქნება „იბერიიდან“: კუტაშვილი, კაპარავა, რევიშვილი, ცხადაძე, ქეცბაია, გურული, ოთხი — „გორდადან“ — ფირცხალავა, კუდინოვი, ფანცულაია, ა. კაპანაძე, კანდიდატთა სიაში იყო აფციაურიც, რომელიც ზუგდიდთან თამაშის შემდეგ დისკვალიფიცირებულია. ასე დაისაჯა მან თავისი თავი. ჩხაიძე, ნადირაძე, თორლუაშვილი წარმოადგენენ ქუთაისის საფეხბურთო კლუბ „ქუთაისს“, „ცხუმიდან“ მოვიწვიეთ ფარულავა, ინალიშვილი, გოგრიჭიანი, „გურიიდან“ — ცომაია, კორლალიძე, დანელია, ზუგდიდის „ოდიშიდან“ ორი ფეხბურთელი „ავიაყვანეთ“ — ჭანტურია, ბიგვავა და თითო მოთამაშე: „მერცხალიდან“ — თეთრაძე, ხოლო „ბათუმდან“ — ბალაძე.

აი, ეს არის სავარაუდო სია ეროვნული ნაკრებისა. შევადგენთ ორ გუნდს, რომელიც ვარჯიშებზე თამაშებენ ერთმანეთის პირისპირ. ღრმად მწამს, ეს გამარჯვება ჩვენ — გვიბრაგება წილად ერგება.

● მართლა პატიმრობა ყოველთვის ხართ. აგერ უკვე ორმოცდაექვსი ლიგა შნეთ, რომ თქვენ „გაიმარჯვეთ“, ხომ თქოს ამით შთაგონებთ საკუთარ თავს.

— კიდევ ერთს გეტყვით, მე მჯერა, ქართული ფეხბურთი თავის სიტყვას იტყვის საფეხბურთო სამყაროში. ყველაფერი, ჯერჯერობით ჩვენზე — მწვრთნელებზე და ფეხბურთელებზე არის დამოკიდებული. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ იმ დროისათვის, როდესაც საერთაშორისო სარბიელზე გავალთ, ჩვენი ფეხბურთი მზად უნდა იყოს ყოველნაირად.

რ. შენგელია — ეს თამაში ბევრს გვიჩვენებს. ვფიქრობ, ჯერჯერობით ასე პარტიზანულად მოგვიწევს უცხოეთის გუნდებთან თამაში. ღმერთი იქნება ჩვენი მფარველი, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

ესაუბრა
ინგა ჩახვაშვილი.

ჯერი ჰელსინკზეა

ორი წლის წინ პირველი და მეორეკლასელი ბიჭები გაკვეთილებიდან სკოლის ეზოში გამოიყვანეს, ერთ რიგად გაამწკრივეს, შემდეგ ორ გუნდად დაყვეს და ფეხბურთი ათამაშეს. პერსპექტიული ბავშვებისგან ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრასთან ჩამოყალიბდა ექსპერიმენტული ფეხბურთელთა გუნდები, სწორედ ის გუნდები, რომლებმაც მიმდინარე წლის 11-14 მაისს მონაწილეობა მიიღეს უნგრეთში გამართულ ბავშვთა საერთაშორისო ტურნირში.

საქართველოს ორივე ასაკის გუნდებმა (1980 და 1981-82 წლებში დაბადებული ბავშვები) პირველი ადგილები დაიკავეს. თბილისელების გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ უნგრეთის, იუგოსლავიის, იტალიის, გფრ-ის, სსრ კავშირის (ქ. უჟგოროდის „დრუჟბა“) ნორჩი ფეხბურთელები.

ორივე ასაკობრივ ჯგუფში მონაწილენი თავდაპირველად ორ-ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ. ჩვენმა გუნდებმა შესაბამისად დაამარცხეს „გოდიატი“ 4:0 (6:2 — უმცროსი ასაკი), „ფერენცვაროში“ (ორივე უნგრეთი) 5:0 (7:1), „სუბოტიცა“ (იუგოსლავია) 7:0 (3:0) და თავთავიანთ ქვეჯგუფებში I ადგილები დაიკავეს. უფროსი ასაკის ბიჭებმა ფინალში მოუგეს ტურნირის მასპინძელს „ჟელეზნოდოროჟნიკს“ — 7:0, ასეთივე ანგარიშით საქართველოს მეორე გუნდმა დაამარცხა ქალაქ უჟგოროდის „დრუჟბა“.

ტურნირზე დაწესებული პრიზების უმრავლესობაც თბილისელმა ბიჭუნებმა დაისაკუთრეს. საუკეთესო ბომბარდირები გახდნენ კოკა მიკუჩაძე 5 გატანილი ბურთით (უფროსი ასაკი) და დათო გელაძე — 9 ბურთი (უმცროსი ასაკი). ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს ბექა რეხვიაშვილი (უფროსი ასაკი), ხოლო უნგრელ გულშემატკივართა სიმპათიის პრიზი „ტრადიციულად“ გიორგი დეკანოსიძემ (უმცროსი ასაკი) დაიმსახურა. იგი შარშანაც ფლობდა ამ პრესტიჟულ პრიზს.

გუნდები, რომლებსაც ავარჯიშებენ მწვრთნელები ატილა ვიხრი, კოტე ჯალიაშვილი, ჯემალ მახარაშვილი და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი სოსო მუხიგულაშვილი, მრავალჯერ ყოფილან სხვადასხვა ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები! ისინი 1991 წელსაც მიიღებენ მონაწილეობას უკვე ტრადიციადქცეულ უნგრეთის საერთაშორისო ტურნირში. მანამდეკი, წელს, 8 ივლისს, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში სტარტს აიღებს ნორჩ ფეხბურთელთა კიდევ ერთი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც აშშ-ს, კანადის, ბოლივიის, ბრაზილიის, ჩილის, პერუს, ფილიპინების, ვენესუელის, ნიგერიის, ტაივანის, სსრკ-ს, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, დასავლეთ გერმანიის, უნგრეთის, სკანდინავიის ქვეყნების გუნდებთან ერთად, მიწვეული არიან ჩვენი ჭაბუკებიც, ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრასთან არსებული ნორჩ ფეხბურთელთა ექსპერიმენტული კლუბის „ვაკის“ აღსაზრდელები.

თამუნა ჯიშკარიანი.

* * *

სურათებზე: უნგრეთის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული თბილისის „ვაკის“ გუნდები.

სასურველია, აღვადგინოთ...

ფეხბურთის მოყვარულებს კეთილ მოგონებად დაგვრჩა არც ისე შორეულ წარსულში სსრკ ჩემპიონატის მატჩების გაშუქებისას სტატისტიკური ცნობების გამოქვეყნება, კერძოდ: მაყურებელთა რაოდენობა, ამინდი (ტემპერატურა), მწვრთნელების მიერ მოთამაშეთა შეფასება ხუთბალიანი სისტემით, მსაჯთა შეფასება მატჩის ინსპექტორების მიერ და ა. შ. მართალია, ამ მონაცემებს სისტემატურად „სოვეტსკი სპორტი“ აქვეყნებდა, მაგრამ გაზეთმა „ლელომაც“ გაგვახარა ამით, თუ არ ვცდები, ერთ სეზონში.

დღეს, როდესაც საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში, ასე ვთქვათ, პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამს, მის პოპულარიზაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამეთუ ქართული ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება ეროვნული მოძრაობის ტოლფასია. ამისათვის ზემოთ აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების სისტემატური გამოქვეყნება ჩვენი უსაყვარლესი გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე, ყოველი ტურის მატჩების განხილვისას, ფრიად საჭიროდ მიმაჩნია. მას არა მარტო სპორტული, არამედ ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც აქვს. როდესაც სპორტსმენი ხედავს, რომ მისი თამაშის და მინდორზე ქცევის შეფასება გაზეთში სახალხოდ ხდება, იგი მოერიდება ცუდად თამაშს. ამას მოითხოვს მისი ვაჟკაცობა და თავმოყვარეობა.

თუ ამას დავუმატებთ მაყურებელთა ქცევის შეფასებასაც და იმას, თუ როგორ „გამოიღებენ“ ხელს ექსტრემალურ სიტუაციებში სამართალდამცავი ორგანოები, მივიღებთ სრულ სურათს საქართველოს ამა თუ იმ ქალაქში ჩატარებული მატჩების შესახებ.

ჩემი აზრით, საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია დაინტერესებული უნდა იყოს ასეთი სტატისტიკით და სიამოვნებით შეხვდება ამ აზრს.

ვფიქრობ, ზოგიერთ შემთხვევაში მსაჯობის დონით გაღიზიანებულ მაყურებელთა ვნებათაღელვით შექმნილი ის არაჯანსაღი ვითარება, ჩემპიონატს ზოგიერთ მატჩს რომ ახასიათებს, უნდა გახდეს სიგნალი განგაშისა. მართალია, ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ იმედი მაქვს, კომპეტენტური პირები ჩაერევიან ამ სიტუაციის გარკვევაში და ჩემპიონატსაც მეტი ელფერი შეემატება. ამას უთუოდ იმსახურებს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი.

თენგიზ მიქაბერიძე,
საქართველოს კაპელის მსახიობი.

რედაქციისაგან: ჩვენ ვიზიარებთ პატივცემული თენგიზის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სტატისტიკური შონაცემების აუცილებლობის შესახებ და ვთხოვთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დაგვეხმაროს საჭირო ინფორმაციის მიღებაში.

„მამისონი“—საფეხბურთო კლუბი

გაიმართა ონის საფეხბურთო კლუბ „მამისონის“ დამფუძნებელი კონფერენცია.

დამტკიცდა კლუბის წესდება და კლუბის ხელმძღვანელი ორგანოები. კლუბ „მამისონის“ საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს სახალხო დეპუტატთა რაიასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. ხომასურიძე, მოადგილედ — რაიონის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე შ. ჩაგელიშვილი.

ახალდაარსებული კლუბის ანგარიშზე 20 000 მანეთი ჩარიცხა სოჭის თესლის დამამზადებელ კოოპერატივ „ოქროყანის“ კოლექტივმა (კოოპერატივის თავმჯდომარე ვახტანგ შარაშენიძე), რომელმაც რაიონის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით „მამისონთან“ საქმიანი ურთიერთობა დაამყარა.

ზურა ქოჩლაძე,
ონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ფეხბურთი „ეგრძვის“ ნარკომანიას

22 მაისს მოსკოვის ლუჟნიკის სტადიონზე გაიმართა მოსკოვის „სპარტაკისა“ და საფრანგეთის ვეტერან ფეხბურთელთა საქველმოქმედო საერთაშორისო მატჩი, რომლის შემოსავალი მთლიანად გადაეცა ნარკომანიასთან ბრძოლის ფონდს.

ფრანგთა რიგებში იყვნენ ახლო წარსულის გამოჩენილი ოსტატები პლატინი, ჟირესი, როშტო, ბოსი, ბეკუ და სხვანი. ხოლო სპარტაკელთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ დარვინი, პრუდნიკოვი, ნეტო, ლოვჩევი, იარცევი, პაპაევი, სოჩნოვი, ბუბნოვი და სხვანი.

ვეტერანთა თამაშმა დიდი მოწონება დაიმსახურა. თავდაპირველად დაწინაურდნენ სტუმრები (ჟირესი, პლატინი), შესვენების შემდეგ ჯერ იარცევმა გაქვითა ერთი გოლი, მერე კი ლოვჩევმა თანაფარდობა აღადგინა — 2:2.

საყურადღებოა გამოჩენილი ფრანგი ფეხბურთელის მიშელ პლატინის მოსაზრება, რომელიც მან გამოთქვა კორესპონდენტებთან საუბარში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის თაობაზე. მსოფლიო ჩემპიონობის კანდიდატებად მ. პლატინის მიაჩნია იტალიის, გფრ-ის, ჰოლანდიის, არგენტინისა და ბრაზილიის გუნდები. რაც შეეხება სსრ კავშირის ნაკრებს, ფრანგმა ვეტერანმა თქვა, რომ იგი ძლიერი იყო განვლილ ევროპულ ჩემპიონატში, მაგრამ მას შემდეგ ორმა წელმა განვლო...

ბონი. გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ შეეძლოთ დაეთანხმოს ამერიკის ფედერაციის წინადადებას და ამ ქვეყნის ნაკრებში გადავიდეს სამუშაოდ. ფ. ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ 1978-80 წლებში იგი ნიუიორკის „კოსმოსში“ გამოდიოდა, იცნობს იქაურ კლუბებს და დარწმუნებულია, რომ თუ საქმიანობა გეგმიანად წარიმართა, ამერიკაში ფეხბურთი თანამედროვე დონემდე ამაღლდება.

ფ. ბეკენბაუერის კონტრაქტი გფრ-ის გუნდთან მთავრდება იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ.

ახლოვდება მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი. ფინალის მონაწილე გუნდები ამთავრებენ დიდი შეჯიბრებისათვის მზადებას.

გლაზგო. აქ ერთმანეთს შეხვდნენ შოტლანდიისა და პოლონეთის ეროვნული გუნდები. 42-ე წუთზე პირველი ბურთი გაიტანა შოტლანდიელმა ჯონსტონმა, მაგრამ შესვენების შემდეგ, 59-ე წუთზე, შეცდომა მოუვიდა მასპინძელთა მცველს გილესპის, რომელმაც საკუთარ კარში ჩაჯარა ბურთი — 1:1.

ბოლონია. იტალიის ამ ქალაქში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა კოლუმბიის ნაკრებმა, რომელიც აქაური „ბოლონიის“ ახალგაზრდულ გუნდს შეხვდა. კოლუმბიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 6:0.

ქარდიფი. კოსტა-რიკის ფეხბურთელებმა საწვრთნელი მატჩი გამართეს უელსის გუნდებთან და მარცხი იწვნიეს — 0:1. ბურთი მე-10 წუთზე გაიტანა სონდერსმა.

ბელგრადი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მეტოქეებმა წინასწარ ჯგუფში, კამერუნის ფეხბურთელებმა საკონტროლო მატჩი გამართეს ადგილობრივ „ბუდუჩნოსტთან“, რომელიც იუგოსლავიის ჩემპიონატის I დივიზიონში გამოდის და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1 (4:0).

ნიუ-ჯერსი. ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა აქ მიიღო იუგოსლავიის „პარტიზანი“ (ბელგრადი) და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. მეორე ტაიმის დასაწყისში ბურთი გაიტანა ვერმესმა.

მადრიდი. ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა საკონტროლო მატჩი გამართეს ესპანეთის გუნდთან, რომელიც დაკომპლექტებული იყო მადრიდის „რეალისა“ და „ატლეტიკოს“ მოთამაშეებით. ამ შეხვედრაში ერთადერთი ბურთი გაიტანა ბრაზილიელმა მცველმა ბრანკომ — 1:0.

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ორ მატჩს რუმინელებთან და კამერუნელებთან ქალაქ ბარიში გამართავს. აქაურ სტადიონს მიეკუთვნა „სან ნიკოლოს“ სახელი, 56 ათასი ადგილიდან 41.600 სახურავს ქვეშაა მოთავსებული. ჟურნალისტთათვის აქ განკუთვნილია 910 ადგილი, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკთათვის — 420. მინდორზე ერთდროულად დაუშვებენ 100-მდე ფოტოკორესპონდენტს.

ცნობილმა სპორტულმა ფირმამ „პუმამ“ არგენტინელი ფეხბურთელის მარადონასთვის საგანგებოდ შეკერა ახალი ტიპის ბუცები. მისი დამზადებისას კონსულტანტებად მიწვეული იყვნენ ცნობილი ორთოპედები.

ახალი ბუცები მარადონას ძალიან მოეწონა და ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „პუმასთან“. ამის საფასურად ფირმამ ფეხბურთელს 2,5 მილიარდი ლირი გადაუხადა.

თბილისში გაიმართება

როგორც გაუწყეთ, ფოთის სტადიონი დისკვალიფიცირებულია, ამიტომ „კოლხეთი-1913“ რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის XI ტურის მატჩს ხობის „კოლხეთთან“, თბილისში 26 მაისს სახელობის (ყოფილი „ლოკომოტივი“) სტადიონზე გამართავს. ეს შეხვედრა დღეს 18 საათზე დაიწყება.

მაყურებელიც გადმოიბირეს

ჩვენი ჰაბუკი სპორტსმენები არ არიან განებივრებული საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობით, თუმცა ზოგჯერ ამის საშუალებაც ეძლევათ. ახლახან მიხეილ კვეკვეიძის სახელობის ოლიმპიური რეზერვების კალათბურთის 58-ე საშუალო ექსპერიმენტული სკოლის ნაკრები სტუმრად იმყოფებოდა თბილისის დაძმობილებულ ქალაქ ნანტში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ შევხვდით სკოლის დირექტორს **მერაბ კვეკვეიძეს** და ვთხოვეთ მოეთხრო განვლილი ტურნირის შესახებ.

— ნანტში ტარდება ტრადიციული საგაზაფხულო საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს და ძლიერ შემადგენლობას უყრის თავს. ამჟამადაც ჩვენთან ერთად ასპარეზობაში მონაწილეობდნენ საბერძნეთის, იუგოსლავიის, შვეიცის, ბელგიის, აშშ-სა და საფრანგეთის გუნდები. ტურნირის სიძლიერეზე მეტყველებს ისიც, რომ საბერძნეთი და იუგოსლავია წარმოდგენილი იყვნენ ამ ქვეყნების ახალგაზრდული ნაკრებებით, რომლებიც ევროპის ჩემპიონატისათვის ემზადებიან. შეხვედრები ტარდებოდა ნანტის სპორტის სასახლეში, სადაც 3500 მაყურებელი ეტევა.

საფრანგეთში ჩაფრენის დღიდანვე მასპინძელთა სითბო და ყურადღება არ მოგვკლებია.

ტურნირი მეტად საინტერესოდ ჩატარდა, პირველი მატჩი კი მოვიგეთ, მაგრამ შემდეგ დავმეეთ შეხვედრა საბერძნეთის ძლიერ გუნდთან. ამის გამო მესამე ადგილისთვის ბრძოლის უფლებაღა დაგვრჩა. ამჯერად ჩვენი მეტოქე იყო საფრანგეთის ერთ-ერთი გუნდი (ჩრდილო პროვინციების ნაკრები). ეს გახლდათ ტურნირის ერთ-ერთი ლამაზი და დაძაბული ორთაბრძოლა. ჩვენმა ბიჭებმა ნანტელი მაყურებლის სიმპათიები დაიმსახურეს და მატჩის ბოლოს დარბაზი ჩვენს ჰაბუკებს უპერდა მხარს. ანგარიშით 69:66 მოვიპოვეთ გამარჯვება და დავიკავეთ მესამე ადგილი.

პირველი ადგილი და მთავარი პრიზი დაისაკუთრეს საბერძნეთის წარმომადგენლებმა, რომლებმაც გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხეს იუგოსლავიელთა გუნდი. საუკეთესო მოთამაშის პრიზი გადაეცა ჩვენი გუნდის წევრს არჩილ ხელაშვილს. ჩვენს დელეგაციასაც ჰქონდა დაწესებული პრიზები, რომლებიც გადავეცით სხვადასხვა ქვეყნის გუნდების წარმომადგენლებს.

ჩვენმა გუნდმა კარგი თამაშით საერთო მოწონება დაიმსახურა, ეს აღინიშნა კიდეც ქალაქის მერიაში მოწყობილ შეხვედრაზე, რომელიც სპეციალურად თბილისის დელეგაციისთვის გაიმართა

ჩაიწერა ბია ბურდულმა.

კალეიდოსკოპი

„ლათინური მაფია“

ბრიტანეთის სპორტის მინისტრის დენის ჰოუელის აზრით მანჩესტერს არავითარი შანსი არა აქვს უმასპინძლოს 1996 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს. უფრო მეტიც, მინისტრი კატეგორიულად აცხადებს, რომ ამ უფლებას ვერც ერთი ინგლისური ქალაქი ვერ მოიპოვებს მანამ, სანამ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ესპანელი ხუან ანტონიო სამარანჩი ზგლმძღვანელობს. „ლათინურ მაფიას“, აცხადებს იგი, არ უყვარს დიდი ბრიტანეთი.

ექვსი წლის წინ ჰოუელი ხელმძღვანელობდა კომპანიას, რომლის მიზანი იყო 1992 წელს ბირმინჰემში ოლიმპიადის ჩატარება. პროექტზე დაიხარჯა 2,25 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ჰოუელმა მოიარა მთელი მსოფლიო, რათა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთა მხარდაჭერა მიეღო. მაგრამ გაიმარჯვა ბარსელონამ. თანაც ეს ბრიტანეთის უბრალო დამარცხება კი არ იყო, არამედ განადგურება. ბირმინჰემის კანდიდატურას სოკ-ის მხოლოდ რვა წევრმა დაუჭირა მხარი.

ჰოუელის განცხადებით წელს 18 სექტემბერს ტოკიოში მანჩესტერი უსათუოდ დამარცხდება. ამის მიზეზი იქნება არა მარტო „ლათინელთა“ ანტიბრიტანული პოლიტიკა, არამედ პრემიერ-მინისტრ მარგარიტ ტეტჩერის პოზიციაც, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ არ სურს სანქციების გამოყენება.

ინგლისის სპორტის მინისტრმა კიდევ ერთი პიკანტური ფაქტი მოიყვანა „ლათინური მაფიის“ საწინააღმდეგოდ. მისი განცხადებით, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ბოლო დროს თავის შემადგენლობაში თვრამეტი ახალი წევრი მიიღო. ჰოუელი ამტკიცებს, რომ ყველა სამარანჩის ხალხია. ტოკიოში ბრიტანეთს მხარს დაუჭერს ალბათ მხოლოდ პრინცესა ანა, მაგრამ ერთი ხმა, რა თქმა უნდა, სამყოფი არ იქნება.

დახმარების პეტიცია

უნგრეთის სპორტი, გაზეთ „ნეპშპორტის“ აზრით, კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფება. მოსალოდნელ კრახს რომ როგორმე თავი დააღწიონ, 40-მა მსხვილმა სპორტულმა კლუბმა პარლამენტს მიმართა „SOS-ის პეტიციით“ და მოითხოვა ფინანსიური დახმარება. სპორტის ეკონომიკურ კრიზისს რამდენიმე მიზეზი აქვს. მათგან უმთავრესი გახლავთ ის, რომ მთავრობამ მკვეთრად შეამცირა სუბსიდიები. ნაკლებად ეხმარებიან სპორტს პროფკავშირები, მსხვილი საწარმოები, სპონსორები.

არადა, ბუდაპეშტის კლუბს მტკ-ს ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ 25 მილიონი ფორინტი ჰქონდა მოგება. ახლა კლუბის დეფიციტი 80 მილიონ ფორინტს შეადგენს. სპორტი ძველებურად ვალდებულია თავისი შემოსავლის ნაწილი მთავრობას გადაურიცხოს. ამის გამო იქმნება არანორმალური მდგომარეობა - მტკ-ს კლუბმა, მაგალითად, წელს მთავრობისგან 10 მილიონი ფორინტი მიიღო, უკან კი — 16 მილიონი ფორინტი უნდა დაუბრუნოს.

ალბათ გახსოვთ

როლანდ მათესი

იგი მართლაც მნიშვნელოვანი ფიგურაა აღმოსავლეთ გერმანიის სპორტის ისტორიაში. როლანდ მათესმა მონაწილეობა მიიღო სამ ოლიმპიადაში (მეხიკო, მიუნხენი, მონრეალი) და ოთხი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა ცურვაში, სამჯერ იყო მსოფლიოს და შვიდჯერ ევროპის ჩემპიონი. ამ უნიკალური მონაცემების მქონე სპორტსმენს ოცდაერთჯერ აქვს გაუმჯობესებული მსოფლიოს რეკორდები.

სულ მალე მათესი გახდება დასავლეთგერმანიის საფარიკაო ცენტრის მთავარი ექიმი ტაუბურბი-შოფსჰაიმში. აღნიშნული ცენტრის შეფმა, წარსულში ცნობილმა მოფარიკავემ ბეკმა მათესი ასე დაახასიათა:

— მან იცის ყველაფერი სპორტზე, იცის წვრთნის მეთოდიკის საიდუმლოებანი და კარგი მედიკოსია. დაამთავრა სპორტის უმაღლესი სკოლა ლეიფციგში. მიიღო სპორტის სპეციალისტისა და ექიმის დიპლომი. მუშაობდა ასისტენტად ბიომექანიკაში, მედიცინაში, იყო მეცნიერ-თანამშრომელი ფიზიოლოგიაში. ერთ სიტყვით, ყველა მონაცემებით საჭირო სპეციალისტია, ისეთი, როგორსაც დიდ ხანია ვეძებდით.

შარშან, ნოემბერში როლან მათესი მეუღლესთან და რვა წლის ბიჭუნასთან ერთად ერფურტიდან ტრიპშტადტში (გფრ) გადავიდა საცხოვრებლად.

საერთაშორისო ტურნირზე

საფრანგეთის ქალაქ ტულონში მიმდინარე ახალგაზრდული გუნდების საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირში საფრანგეთისა და სსრ კავშირის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3. პორტუგალიელებმა დაამარცხეს ინგლისელები — 1:0.

1990 წლის 29 მაის, 15 საათზე საქართველოს ალპური კლუბის საქტო დარბაზში შედგება საქართველოს მოთხილამურეთა ასოციაციის დამფუძნებელი კრება. მსურველებს გთხოვთ გვეწვიოთ.

საორგანიზაციო ჯგუფი.



ინფორმაცია

რომი. საინტერესოდ მიმდინარეობს პროფესიულ ველოსიპედისტთა მრავალდღიანი ველორბოლა „ჯირო დ'იტალია“, შეჯიბრება, რომელიც თავისი პოპულარობითა და მნიშვნელობით მეორეა „ტურ დე ფრანსის“. შემდეგ. უკვე გაიმართა ოთხი ეტაპი. რბოლას ლიდერობს იტალიელი ჯანი ბუნიო — 16:22.42. ლიდერს 43 წამით ჩამორჩება ესპანელი ედუარდო ჩოსასი და 57 წამით — შვეიცარიელი დანიელ შტაიგერი. საბჭოთა სპორტსმენებს შორის საუკეთესო შედეგი აქვს პიოტრ უგრიუმოვს, რომელიც დაწინაურებულთან 1 წუთსა და 36 წამს აგებს და ჯერჯერობით მე-14 ადგილზე იმყოფება.

მეოთხე ეტაპი ორ ნაწილად ჩატარდა. თავდაპირველად ველოსიპედისტები 31-კილომეტრიან დისტანციაზე ასპარეზობდნენ. აქ ყველას აჯობა იტალიელმა სტეფანო ალაკინომ (იტალია). ეტაპის მეორე მონაკვეთის სიგრძე 164 კილომეტრი იყო. მანძილი ყველაზე უკეთ ავსტრალიელმა ფილ ანდერსონმა გაიარა, რომელმაც საბოლოოდ მოიგო კიდეც მეოთხე ეტაპი.

პარიზი. ქალთა მრავალდღიანი ველორბოლა საფრანგეთის გზებზე ცნობილი იტალიელი სპორტსმენის მარია კანინსის სრული უპირატესობით აღინიშნა — მან პირველი ადგილი დაიკავა. სპეციალისტებისთვის მოულოდნელი იყო ჩელიაბინსკელი ნატალია მელიხინასა და ლვოველი თამარა პოლიაკოვას წარმატება. პირველს საერთო ჯამში მეორე ადგილი ერგო (გამარჯვებულს 2 წუთითა და 4 მეასედი წამით ჩამორჩა), მეორეს კი — მეოთხე (2 წუთი, 12 წამი).

„სპორტპროგნოზი“, 22-ე ტირაჟის პროგრამა (2-4 ივნისი)

		პროგნოზი		
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)				
1. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი)	2.VI	40	50	10
2. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი)	4.VI	30	50	20
3. „ნეფთჩი“ (ბაქო) — „დინამო“ (სოხუმი)	4.VI	50	40	10
4. „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ტირასპოლი“ (ტირასპოლი)	4.VI	60	30	10
5. „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი)	4.VI	40	50	10
6. „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	4.VI	30	60	10
7. „დინამო“ (სტავროპოლი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი)	4.VI	70	20	10
8. „კაირატი“ (ალმა-ათა) — „შინიკი“ (იაროსლავლი)	4.VI	30	60	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში, (მეორე ლიგა)				
დასავლეთის ზონა				
9. „ვოლინი“ (ლუცკი) — „დინამო“ (ბრესტი)	4.VI	30	60	10
10. „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — ასკ (ოდესა)	4.VI	40	50	10
11. „კარპატი“ (ლვოვი) — „დნეპრი“ (მოგილიოვი)	4.VI	20	50	30
12. „ბუკოვინა“ (ჩერნოვცი) — „ბალტიკა“ (კალინინგრადი)	4.VI	30	50	20
ცენტრალური ზონა				
13. „დინამო“ (ბრიანსკი) — „ხოკოლი“ (სარატოვი)	4.VI	20	60	20



რთული ტრასის პერიპეტიები

სან მარინოში, „იმოლას“ დინო და ენცო ფერარის სახელობის ტრასაზე გაიმართა მსოფლიოს 41-ე ჩემპიონატის მე-3 ეტაპი „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში. ადრე აქ გამარჯვება მოიპოვეს ნელსონ პიკემ (ბრაზილია, „ბრებემი“) — 1981 წ., ალენ პროსტმა (საფრანგეთი, „რენო“, „მაკლარენი“) — 1982, 1984, 1986 წწ., პატრიკ ტამბემ (საფრანგეთი, „ფერარი“) — 1983 წ., ელიო დე ანჯელისმა (იტალია, „ლოტუსი“) — 1985 წ., ნაიჯელ მენსელმა (ინგლისი, „უილიამსი“) — 1987 წ. აირტონ სენამ (ბრაზილია, „მაკლარენი“) — 1988, 1989 წწ.

„იმოლა“ ერთ-ერთი ურთულესი ტრასაა მსოფლიოში. აქ სხვადასხვა სიძნელის 7 მოსახვევია: „ტამბურელო“, „რეტიფილინო“, „ტოზა“, „პირატელა“, „აკვა მინერალე“, „ვარიანტე ალფა“ და „რივაცა“.

პირველმა, როგორც გახსოვთ, შარშან, კინდამ შეიწირა გერჰარდ ბერგერის სიცოცხლე.

„რივაცას“ გავლისას კატასტროფაში მოყვა ნაიჯელ მენსელი. იგი „ფერარის“ ახალ მოდელს ცდიდა. ავარია განიცადა, აგრეთვე, ანდრეა და ჩეზარისმა (იტალია, „დალარა-ფორდი“).

ამით კატასტროფების სერია არ დასრულებულა.

ერთ-ერთი ბოლო ტესტირების დროს „პირატელას“ გავლისას ივან კაპელიმ (იტალია, „ლეიტონ ჰაუსჯადი“) სიჩქარეს გადააჭარბა, ავტომობილი ბარიერს შეეჯახა, ტრასაზე დაბრუნდა, რამდენიმეჯერ გადატრიალდა და გაჩერდა. ყველაფერი ეს მიქელე ალბორეტოს (იტალია, „ეროუზ-ფორდი“) თვალწინ მოხდა. მან ავტომობილი ცოტა შორს გაჩერა და მეგობრის საშველად გაემართა. ასეთ სცენას იშვიათად შეხვდებით ავტორბოლების დროს. შემთხვევის ადგილას მისულ ალბორეტოს ასეთი სურათი წარმოუდგა თვალწინ: ორ ექიმს ივან კაპელი სასწრაფო დახმარების ავტომობილისკენ მიჰყავდა. ახალგაზრდა პილოტს მარცხენა ხელი და მუხლები სისხლში ჰქონდა მოთხვრილი. კაპელი ქალაქ მოდენას კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც დაუსვეს დიაგნოზი: კიდურების მრავალი მოტეხილობა და ძლიერი კონტუზია. საშეუხაროა, მაგრამ 27 წლის ივან კაპელი დიდი ხნით გამოეთიშა ასპარეზობას.

ოფიციალური საკვალიფიკაციო რბოლების პირველ დღეს კატასტროფაში მოჰყვა ჯერ ალესანდრო ნანინი, შემდეგ კი პიერლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი-ფორდი“). ეს უკანასკნელი ისე შეეჯახა ბარიერს, რომ მის ამოყვანას ავტომობილის კაბინიდან 10 წუთი დასჭირდა. საუკეთესო დრო კი გერჰარდ ბერგერმა აჩვენა.

მეორე დღეს თანაგუნდელის შედეგი გააუმჯობესა აირტონ სენამ. მოიგო 44-ე საკვალიფიკაციო რბოლა და სტარტი პირველი რიგიდან აიღო.

ასპარეზობას 200 ათასი მაყურებელი დაესწრო. უმრავლესობა, რა თქმა უნდა, იტალიელები იყვნენ.

სტარტზე თანაგუნდელის შეცდომა საუცხოოდ გამოიყენა გერჰარდ ბერგერმა და დაწინაურდა. მალე აირტონ სენამ დაიბრუნა პირველობა, მაგრამ მეოთხე წრეზე „მაკლარენის“ მწყობრიდან გამოსვლის გამო იგი იძულებული შეიქნა რბოლა მიეტოვებინა. ლიდერობა ხელთ იგდო კვლავ გერჰარდ ბერგერმა, მაგრამ მას ახლა ტიერი ბუტსანმა (ბელგია, „უილიამს-რენო“) გაუსწრო. სულ მალე ისიც გამოეთიშა ასპარეზობას.

დისტანციის ნახევრის გავლის შემდეგ გამოიკვეთა ლიდერთა სამეული ბერგერის, მენსელისა და პატრეზეს სახით.

ტრასის სწორი მონაკვეთის გავლისას ნაიჯელ მენსელმა სცადა გასწრება, მაგრამ ბერგერის „მაკლარენსა“ და გაზონს შორის მანძილი ვერ გამოზომა, ავტომობილი მოსრიალდა და ინგლისელმა პილოტმაც მიატოვა რბოლა.

იტალიელი ვეტერანის ცდა კი წარმატებით დამთავრდა. იგი დაწინაურდა და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

რიკარდო პატრეზემ მთელი დისტანცია დაფარა 1 საათში, 30 წუთსა და 50,478 წამში. იტალიელი პილოტისთვის ეს იყო 195 სტარტიდან მე-3 „გრანპრი“, ხოლო „უილიამსისთვის“ — 43-ე.

მესამე ადგილისთვის პაექრობაში ალესანდრო ნანინიმ აჯობა ალენ პროსტს.

საინტერესო იყო ჟან ალესისა და ნელსონ პიკეს „დუელი“. მართალია, საკვალიფიკაციო რბოლებში ახალგაზრდა პილოტმა აჯობა გამოცდილ კოლეგას, მაგრამ ამჯერად ვერაფერს გახდა.

ტრასის რეკორდი დაამყარა ალესანდრო ნანინიმ — ერთი წრე გაიარა 1 წუთსა და 27,156 წამში, საშუალო სიჩქარე — 208, 178 კმ სთ.

ეტაპის საბოლოო შედეგია:

1. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამს-რენო“) — 9 ქულა; 2. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენ-ჰონდა“) — 6; 3. ალესანდრო ნანინი (იტალია, „ბენეტონ-ფორდი“) — 4; 4. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი“) —3; 5. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი“) — 2; 6. ჟან ალესი (საფრანგეთი, „ტაირელ-ფორდი“) — 1 ქულა.

მდგომარეობა 3 ეტაპის შემდეგ: პირადი ჩათვლა:

1. აირტონ სენა — 13 ქულა; 2-3. ალენ პროსტი, გერჰარდ ბერგერი — 12-12; 4. რიკარდო პატრეზე— 9; 5. ჟან ალესი — 7; 6-7. ტიერი ბუტსანი, ნელსონ პიკე — 6-6; 8. ალესანდრო ნანინი — 4; 9 ნაიჯელ მენსელი — 3; 10. სტეფანო მოდენა — 2; 11. სატორუ ნაკაჰიმა — 1 ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა:

1. „მაკლარენ-ჰონდა“ — 25; 2-3. „ფერარი“, „უილიამს-რენო“ — 15-15; 4. „ბენეტონ-ფორდი“ — 10; 5. „ტაირელ-ფორდი“ — 8; 6. „ბრებემ ჯადი“ — 2 ქულა.

დავით ჩუბინიძე.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380098, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29,

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779